

## საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის 2020 წლის ანგარიში

საქართველოს კანონის - „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-40 მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა. აღნიშნულის შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს და კანონით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას. მიმდინარე წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, სულ შემოსულია 44 წერილი და განცხადება, ხოლო მოთხოვნა - საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე, მუნიციპალიტეტის მერიაში არ შემოსულა, შესაბამისად, შესწორებები, გაცემულ საჯარო ინფორმაციაში, არ განხორციელებულა. მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან არ ყოფილა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის არც ერთი შემთხვევა, შესაბამისად, შემოსული განცხადებებიდან და წერილებიდან სრულად დაკმაყოფილდა 44 მოთხოვნა. გარდა ამისა, აღნიშნული კანონის 49-ე მუხლის შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, ყოველი საანგარიში წლის 10 დეკემბრისათვის, საჯარო ანგარიშის გაცემის თაობაზე, ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, აგრეთვე აქვეყნებს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2019 წლის ანგარიშში, რომლის წარდგენაც მიმდინარე წლის 30 ივლისს მოხდა, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია დასახელდა საჯარო ინფორმაციის გაცემის მიმართულებით ყველაზე ღია საჯარო დაწესებულებებს შორის, საჯარო ინფორმაციის გაცემის 100%-იანი უზრუნველყოფით.

